

შპს ქობულეთის წყალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის
ფინანსური ანგარიშგება

ქობულეთი

2024

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქობულეთის წყალი“-ს

პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქობულეთის წყალი“-ს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლის თანდართული ფინანსური ანგარიშგების (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების) აუდიტი.

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონოდა საკითხებს, რომლებიც განხილულია „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ აბზაცში, შპს „ქობულეთის წყალი“-ს მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება) ყველა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აუდიტირებული ობიექტის საერთო ფინანსურ მდგომარეობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვახდინეთ ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციაზე დასწრება და ვერც სხვა აუდიტორული პროცედურებით ვერ დავადასტურეთ საწყისი და საბოლოო ნაშთები.

აუდიტის პროცესში ვერ დავრწმუნდით ძირითადი საშუალებების ღირებულების სისწორეში, რადგანაც ვერ მოხდა ქონების რეალური ღირებულების დადგენა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ საწარმოსგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული

აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს ყურადღება შევაჩეროთ იმ გარემოებაზე, რომ 2022 წელი კომპანიამ დაამთავრა ზარალით, თუმცა კომპანიის საქმიანობის ხასიათიდან და დამფუძნებლის ინტერესებიდან გამომდინარე ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე საზოგადოების მიერ წყლის მიწოდებისა და არინების მომსახურებით მომხმარებლების უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოების ხარჯების კომპენსირებას პერიოდულად ახდენს ქობულეთის მუნიციპალიტეტი, მასვე როგორც წინა პერიოდსა და საანგარიშო წელს, განხორციელებული აქვს 2023 საანგარიშო პერიოდის ზარალის კომპენსირება. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ შპს „ქობულეთის წყალი“ საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, რომელიც მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის, მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, კერძოდ საწარმოს საქმიანობის მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მმართველობის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს) პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს საწარმოს შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ საწარმოს არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;
- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი

შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

**შპს „ექსპერტ აუდიტი“-ს სახელით
გარიგების პარტნიორი**

დავით შარაშიძე
აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში
რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-701134

ქ. ბათუმი, 2024 წლის 25 დეკემბერი

შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ექსპერტ აუდიტი“-ს სახელით
გარიგების პარტნიორი


დავით შარაშიძე
აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში
რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-701134



ქ. ბათუმი, 2024 წლის 25 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3

სრული შემოსავლების ანგარიშგება4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....5

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....6

განმარტებითი შენიშვნები..... 7-17

მმართველობითი ანგარიშგება18-24

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

0	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
ფული და ფულის ეკვივალენტები		186,160	475
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		207,634	210,479
მარაგები		64,251	22,213
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		458,045	233,167
ძირითადი საშუალებები		27,138,137	27,614,594
არამატერიალური აქტივები		-	-
		27,138,137	27,614,594
სულ აქტივები		27,596,182	27,847,761
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები		82,690	55,171
საგადასახადო ვალდებულება		222,472	212,990
გადასახდელი ხელფასები		10,237	42,169
გადასახდელი დივიდენდი			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		315,399	310,330
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		0	0
საწესდებო კაპიტალი		24,583,144	24,583,144
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(2,490,100)	(1,924,045)
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)		(256,648)	(566,055)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		5,444,387	5,444,387
სულ კაპიტალი		27,280,783	27,537,431
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		27,596,182	27,847,761

სულხან გორჯელაძე
დირექტორი

გიორგი ხახუტაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

GEL

შემოსავლები	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	959 034	691 013
წყლის ხარჯების სუბსიდირება	1 813 302	1 431 886
	2 772 336	2 122 899
ბარჯები		
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(1 538 142)	(1 436 326)
ადმინისტრაციის ხელფასი	(847 737)	(633 656)
ცვეთა და ამორტიზაცია	(476 457)	(482 144)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(166 648)	(136 828)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	(256 648)	(566 055)
საპროცენტო შემოსავლები	-	-
საპროცენტო ხარჯები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
საკურსო სხვაობა, ნეტო	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	-	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(256 648)	(566 055)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(256 648)	(566 055)
სულხან გორჯელაძე დირექტორი	გია ხახუტაიშვილი მთავარი ბუღალტერი	

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდი**

	GEL	
	12/31/2022	12/31/2021
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	1,123,292	638,443
წყლის ხარჯების სუბსიდირება	1,813,302	1,431,886
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)	(1,999,295)	(1,657,677)
თანამშრომელთა ანაზღაურება (-)	(710,122)	(464,755)
გადასახადები (-)	(41,492)	(766)
სხვა საოპერაციო ხარჯები (-)	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	185,685	(52,869)
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	185,685	(52,869)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	475	53,344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	186,160	475

სულხან გორჯელაძე
დირექტორი

გიორგი ხახუტაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	GEL			
	სააქციო კაპიტალი	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	მოგება/ (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის	24,583,144	5,444,387	(1,924,045)	28,103,486
კაპიტალის ელემენტების ცვლილება				
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	(566,055)	(566,055)
დივიდენდის განაწილება	-			
მოგების გადასახადი			-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	24,583,144	5,444,387	(2,490,100)	27,537,431
წმინდა მოგება/(ზარალი)		-	(256,648)	(256,648)
დივიდენდის განაწილება		-		-
მოგების გადასახადი		-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	24,583,144	5,444,387	(2,746,748)	27,280,783


სულხან გორჯელაძე
დირექტორი

გიორგი ხახუტაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

0	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
ფული და ფულის ეკვივალენტები		186,160	475
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		207,634	210,479
მარაგები		64,251	22,213
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		458,045	233,167
ძირითადი საშუალებები		27,138,137	27,614,594
არამატერიალური აქტივები		-	-
		27,138,137	27,614,594
სულ აქტივები		27,596,182	27,847,761
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები		82,690	55,171
საგადასახადო ვალდებულება		222,472	212,990
გადასახდელი ხელფასები		10,237	42,169
გადასახდელი დივიდენდი			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		315,399	310,330
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		0	0
საწესდებო კაპიტალი		24,583,144	24,583,144
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(2,490,100)	(1,924,045)
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)		(256,648)	(566,055)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		5,444,387	5,444,387
სულ კაპიტალი		27,280,783	27,537,431
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		27,596,182	27,847,761

სულხან გორჯელაძე
დირექტორი



გიორგი ხახუტაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

GEL

შემოსავლები	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	959 034	691 013
წყლის ხარჯების სუბსიდირება	1 813 302	1 431 886
	2 772 336	2 122 899
ხარჯები		
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(1 538 142)	(1 436 326)
ადმინისტრაციის ხელფასი	(847 737)	(633 656)
ცვეთა და ამორტიზაცია	(476 457)	(482 144)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(166 648)	(136 828)
	(256 648)	(566 055)
საპროცენტო შემოსავლები	-	-
საპროცენტო ხარჯები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
საკურსო სხვაობა, ნეტო	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	-	-
	(256 648)	(566 055)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		
მოგების გადასახადი	-	-
	(256 648)	(566 055)
წმინდა მოგება/(ზარალი)		

სულხან გორჯელაძე
დირექტორი



გია ხახუტაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდი

	GEL	
	12/31/2022	12/31/2021
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	1,123,292	638,443
წყლის ხარჯების სუბსიდირება	1,813,302	1,431,886
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)	(1,999,295)	(1,657,677)
თანამშრომელთა ანაზღაურება (-)	(710,122)	(464,755)
გადასახადები (-)	(41,492)	(766)
სხვა საოპერაციო ხარჯები (-)	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	185,685	(52,869)
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	185,685	(52,869)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	475	53,344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	186,160	475

სულხან გორჯელაძე
დირექტორი




გიორგი ხახუტაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს ქობულეთის წყალი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	GEL			
	სააქციო კაპიტალი	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	მოგება/ (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის	24,583,144	5,444,387	(1,924,045)	28,103,486
კაპიტალის ელემენტების ცვლილება				
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	-	(566,055)	(566,055)
დივიდენდის განაწილება	-			
მოგების გადასახადი			-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	24,583,144	5,444,387	(2,490,100)	27,537,431
წმინდა მოგება/(ზარალი)		-	(256,648)	(256,648)
დივიდენდის განაწილება		-		-
მოგების გადასახადი		-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	24,583,144	5,444,387	(2,746,748)	27,280,783

სულხან გორჯელაძე
დირექტორი



გიორგი ხახუტაიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქობულეთის წყალი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ 247009856) რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 2009 წლის 09 სექტემბრიდან, საქართველოს კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, ქობულეთი, კაიკაციშვილის ქ. #52

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ს/კ 247001890).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისათვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის და ქალაქ ქობულეთის მოსახლეობისათვის. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და წყალარინებისათვის. კომპანიაში 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით დასაქმებული იყო 122 თანამშრომელი (2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით 120 თანამშრომელი).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს, ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება

ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის, ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის, ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.3. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიის საქმიანობის ხასიათიდან და დამფუძნებლის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოების მიერ წყლის მოპოვება მიწოდებისა და ხარჯების სუბსიდირებას /კომპენსირებას პერიოდულად ახდენს ქობულეთის მუნიციპალიტეტი, მასვე როგორც წინა პერიოდსა და საანგარიშო წელს, ასევე განხორციელებული აქვს 2023 საანგარიშო პერიოდის ხარჯების სუბსიდირება/კომპენსირება

2.4. შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

2.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. საზოგადოებაში ძირითადი საშუალებების გადაფასება არ განხორციელებულა და ეს უკანასკნელი აღირიცხება 2011 წლიდან შემდგომ პერიოდში კაპიტალში შეტანის მომენტისათვის განსაზღვრული და/ან შეძენის მომენტისათვის განსაზღვრული თვითღირებულებით რაც შემცირებულია დარიცხული ცვეთებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება შესაბამისი პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას, ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება, ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება ნარჩენი საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას

მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის გადახედვა. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასარგებლო
მომსახურების ვადა

შენობა-ნაგებობები	18-58
მანქანა დანადგარები, საოფისე და სხვა მოწყობილობები და ავეჯი	1-12
ავტოტექნიკა	
მილსადენები და წყალ არინების სისტემები	1-15

2.6. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი, ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

2.7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს. საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება,

საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში, ან ზარალში.

2.8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

2.9. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

2.10. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

2.11. ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. მაშინ როცა მომსახურების მწოდება ხდება პერიოდულად, საანგარიშო თვის ბოლოს.

კომპანია ახდენს ამონაგების აღიარებას ყოველთვიურად - კომერციულ ორგანიზაციებში და საბიუჯეტო დაწესებულებებში მრიცხველის მეშვეობით, ხოლო მოსახლეობიდან მუნიციპალიტეტის დადგენილი ტარიფით

2.12. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა, ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე

წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა

ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

3.1. განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკი.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების

შემცირებას. სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

4. ძირითადი საშუალებები

შინაარსი	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	ჭაბურღ-ბი, ტუმბოები, მილსადენები,	საკანალიზაციო სისტემები	ელექტრო გადამცემი	მანქანა-დანადგარები, მოწყობი	ავტოტექნიკა	ჯამი
საბალანსო ღირებულება	799912	2358675	18421756	5853644	45947	91532	525272	28096738
2021 წლის 1 იანვარს								
შემენა								0
დარიცხული ცვეთა		49723	309671	89561	1960	5600	25629	482144
ჩამოწერა								0
გადაფასების გამო ცვეთის								
განულება								0
გადაფასების ეფექტი								0
საბალანსო ღირებულება	799912	2308952	18112085	5764083	43987	85932	499643	27614594
2021 წლის 31								
დეკემბერს								
(გადაფასებული								0
ღირებულება)								
შემენა								0
დარიცხული ცვეთა		53046	303078	88190	1876	5930	24337	476457
გადაცემა								0
გაუფასურება								0
საბალანსო ღირებულება	799912	2255906	17809007	5675893	42111	80002	475306	27138137
2022 წლის 31								
დეკემბერს								
(გადაფასებული								0
ღირებულება)								

კომპანიას გადმოცემული აქვს დამფუძნებლიდან, როგორც უძრავი ისე მოძრავი ქონება საზოგადოების დაფუძნების შემდგომ პერიოდულად. ქონების არსებითი ნაწილი გადმოცემულია 2011 წელს. ეს უკანასკნელი შეფასებულია შემფასებლების მიერ გადმოცემის მომენტისათვის 2011 წელს. დამფუძნებლის მიერ საზოგადოებაზე 2011 წელს გადმოცემული ქონების ნაწილი და 2011 წელს შემდგომ გადმოცემული ქონება შემოსავალში აღირიცხება საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფასებით. საზოგადოების საბალანსო მონაცემებში მიწის ღირებულება აღირიცხულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული ნორმატიული ღირებულებით. საზოგადოება ყოველწლიურად აწარმოებდა საკუთარი ძირითადი საშუალებების გაუმჯობესებაზე დანახარჯებს. საზოგადოების ხელმძღვანელობა თვლის რომ მიმდინარე ეტაპისათვის ძირითადი საშუალებები მათი საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარე გადაფასებებს არ საჭიროებს.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

შინაარსი	31.12.2022	31.12.2021
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	186 160	475
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	186 160	475

6. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები წყლისა და წყალარინების მომსახურებიდან)	252232	243864
სხვა მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები		
საექვო ვალების რეზერვი	-44,598	-33,385
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	207,634	210,479
გაუფასურების რეზერვის (ზრდა) / შემცირება	31.12.2022	31.12.2021
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	33,385	23,309
რეზერვის კორექტირება	11,213	10,076
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	44,598	33,385

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

დასახელება	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და მასალები	64250	2179
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	64250	2179

8 მიმდინარე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
საგადასახადო ვალდებულებები, შრომის ანაზღაურება, დავალიანება მუშა მოსამსახურეების მიმართ	214 867	205 720
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10 238	42 169
82 690	55 171	
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	307 795	303 060

9. შემოსავალი

9.1. შემოსავლის წყარო

პერიოდი	მოპოვება	წყლის მიწოდება							
		საყოფაცხოვრებო (მ3)		კომერციული (მ3)		საბიუჯეტო (მ3)		სულ	
		რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა
2021	4047610	620794	136331	135533	225480	45347	59338	801674	421149
2022	3557129	660539	146823	199639	337099	47363	61982	907541	545903

პერიოდი	მოპოვება	არინება							
		საყოფაცხოვრებო (მ3)		კომერციული (მ3)		საბიუჯეტო (მ3)		სულ	
		რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა
2021		474012	131064	101935	220683	24658	42498	600605	394246
2022		520022	144357	149626	337768	23177	40015	692825	522140

9.2. შემოსავლები

შინაარსი	2022	2021
საოპერაციო შემოსავლები	959,034	691,013
წყლის მიწოდება სულ	462,629	356,907
კომერციულ ობიექტებზე	285,677	191,085
საბიუჯეტო დაწესებულებებზე	52,526	50,287
საყოფაცხოვრებო	124,426	115,535
წყალ არინება სულ	442,492	334,107
კომერციულ ობიექტებზე	286,244	187,020
საბიუჯეტო დაწესებულებებზე	33,911	36,016
საყოფაცხოვრებო	122,336	111,072
სხვა საოპერაციო შემოსავლები	53,913	0
ახალი აბონენტების დაერთება, მრიცხველების მონტაჟი	53,913	0
არასაოპერაციო შემოსავლები	1,813,302	1,431,886
სხვა შემოსავალი (წყლის ხარჯების სუბსიდირება)	1,813,302	1,431,886
შემოსავლები სულ	2,772,336	2,122,899

10. სხვა მოგება/ზარალი

საოპერაციო ხარჯები	3,028,984	2,688,545
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	211171	180255
შუქის მიწოდება	1326971	1255308
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	23180	21451
შრომის ანაზღაურება	847737	633656
კომუნიკაციის ხარჯები	8278	9197
დაზღვევა	1,587	
მიმდინარე საექსპოაღატაციო ხარჯები (რემონტი)	8,295	85
ცვტა და ამორტიზაცია	476457	482144
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	334	7270
სხვა საგადასახადო ხარჯი	2,501	2,630
საბანკო მომსახურება	1,460	1,447
დაცვის მომსახურება	49,831	49,831
ბილინგის მომსახურება	18,887	14,507
გაზის მიწოდება	5,414	6,678
ლაბორატორიის ხარჯები	684	1,660
მარეგულირებლის მოსაკრებელი	3,814	2,500
კომპიუტერის ხარჯები	87	860
საფოსტო მომსახურება	81	143
ქაღალდის ხარჯი		763
ბუღალტრული მომსახურება	170	
აღსრულების მომსახურება	3,894	
საპატრულო ჯარიმები	398	1,450
მომსახურების საფასური	2,675	2,175
აუდიტორული მომსახურება	3,620	3,000
საპროექტო მომსახურება	1,200	
სმს მომსახურება	2,549	899
სხვა მომსახურება	16,497	561
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	11213	10076
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	0	409
ხარჯები სულ	3,028,984	2,688,954

11. გათვალისწინებული მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. რამდენადაც საზოგადოების მიმართ რაიმე სახის სასამართლო დავები არ ფიქსირდება, ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის

ასანაზღაურებლად.

12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა, ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისათვის კომპანიის უშუალო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გახლდათ ქალაქ ქობულეთის მუნიციპალიტეტი. კომპანია ჩვეულებრივი ოპერირების ფარგლებში უწევს მომსახურებას ქალაქ ქობულეთის მუნიციპალიტეტს, მომსახურების ანაზღაურება და ღირებულება განსაზღვრა ხორციელდება იგივე პრინციპით, რა პრინციპითაც ხორციელდება მომსახურება სხვა ანალოგიური სამართლებრივი ფორმის პირებთან.

13 პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 დეკემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ქობულეთის წყალი-ს

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით
დასრულებული წლისათვის მმართველობითი
ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიისა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს „ქობულეთის წყალი“ წარმოადგენს ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სტრუქტურა, უფლებამოსილება და მართვის ორგანიზება განსაზღვრულია წესდებით. კომპანიას ფილიალები არ გააჩნია. წილის გამოსყიდვა არ მომხდარა. უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტიორთა კრება, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით.

შპს „ქობულეთის წყალი“-ს ძირითადი საქმიანობაა ქალაქ ქობულეთსა და მის ტერიტორიაზე არსებული აბონენტების უზრუნველყოფა 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების სისტემების მომსახურებით.

შპს „ქობულეთის წყალი“-ს ძირითადი საქმიანობაა:

- აბონენტების 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა
- აბონენტების 24 საათიანი წყალარინების ქსელით უზრუნველყოფა
- წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელზე ახალი აბონენტების დაერთება
- აღრიცხვის კვანძების მოწყობა

საწარმოს ძირითადი შემოსავალია აბონენტების მიერ მოხმარებული წყლის და წყალარინების საფასური. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქ. ქობულეთის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული სუბსიდირება წყლის მიწოდებასა და არინების არინების ხარჯების დასაფარავად,

კომპანიის სპეციფიკიდან და სამუშაო სფეროს მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კომპანია თანამშრომლობს 100 ზე მეტ კომპანიასა თუ მწარმოებელთან, ქ. ქობულეთის მაცხოვრებლებთან, რომლებიც რა თქმა უნდა ხარისხიანი, მაღალი სტანდარტებით წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით უზრუნველყოფენ შპს „ქობულეთის წყალი“-ს დაკისრებული ვალდებულებების სრულყოფილად შესასრულებსათვის. კომპანია წყლის მიწოდებას და წყალარინებას ახორციელებს 7600 ოჯახზე რაც დაახლოებით 19000 ადამიანია, ასევე 945 კომერციულ და 47 საბიუჯეტო ორგანიზაციაზე.

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2022 წლის განმავლობაში შპს „ქობულეთის წყალი“ ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე ექსპლუატაციასა და უზრუნველყოფას უწევდა:

- წყლის მოპოვებისათვის ჭაბურღილებს, წყალშემკრებებს, რეზერუარებსა და სხვა დამხმარე ნაგებობებს განთავსებულს 368722.00 კვ.მ. ფართზე მდინარე კინტრიშისა და კანკიშას კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ქობულეთის წყალსადენის 6432,94 გრ.მ. წყლის მაგისტრალურ ქსელს;
- 68656,1 გრ.მ. წყალმომარაგების ქსელს;
- 30959,86 გრ.მ. კანალიზაციის ქსელს;
- წყალშემკრები, წყალმიმღები რეზერუარებს, გამწმენდი ნაგებობებს და სხვა

უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა ადმინისტრაციული ოფისების, წყლის ჰაბურდილების, წყალშემკრები, წყალმიღები რეზერვუარების, გამწმენდი ნაგებობების, ასევე წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია-ოპერირება, კომპიუტერული ბაზების, პროგრამების, ავტოპარკისა და სპეცტექნიკის გამართულობის შემოწმება, საწვავის სწორი და ეფექტური ხარჯვის კონტროლი, საწარმოო პრაქტიკიდან გამომდინარე შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო სათანადო მოწყობილობა-დანადგარების და მასალა-ნედლეულის შეძენასთან დაკავშირებული დროული ქმედებები მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ოპერატიული ჩანაცვლებისათვის. მიუხედავად მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა, რჩება მთელი რიგი უპირატესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არსებით გავლენას მოახდენს შემდგომში კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე. ეს საკითხებია:

- -მთავარი გადამცემი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის ღონისძიებების ჩატარება, რომელიც არსებითად შეამცირებს წყლის დანაკარგის მაჩვენებელს და წყლის ხარისხის ინდექსს სემეკის მიერ განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელს გაუსწორებს.
- წყლის და წყალარინების სისტემაში არსებული ჰაბურდილების და სხვადასხვა დანიშნულების ტუმბოების სარემონტო და სხვა სამუშაოების დასაფიქსირებლად უნდა განხორციელდეს პასპორტიზაციის ელექტრონული სისტემის შექმნა;
- სახანძრო ჰიდრანტების დამატება, გეგმიური შემოწმება და შეკეთება;
- წყლის ქსელის სამანიპულაციო ურდულების გეგმიური შემოწმება და შეკეთება;
- წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის სრულყოფილი ოპერირება და მონიტორინგი. მათ ოპერირებასთან დაკავშირებული საექსპლუატაციო ხარჯების შემცირება.
- იმ აბონენტების გამრიცხველიანება, რომლებიც წყლის სარგებლობისათვის თანხებს იხდიან სულადობს მიხედვით და ახალი მომხმარებლების ჩართვა ქსელში მათი გამრიცხველიანების გზით.

კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჯერ კიდევ ქალაქის მაშტაბით არსებული როგორც წყალმომარაგების, ასევე წყალარინების ძველი ქსელების არსებობა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია კომპანიის წყლის დანაკარგების დიდ მოცულობასთან და საექსპლუატაციო მაღალ ხარჯებთან, რადგან საწარმოს მთავარი ამოცანაა - ნებისმიერ ლოკაციაზე მომხმარებლის 24 საათიანი ხარისხიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფა, წყალარინების ქსელის გამართული ფუნქციონირება და ძველ ქსელებზე ავარიული შემთხვევების ოპერატიული და გადაუდებელი აღმოფხვრა.

კომპანიაში 2022 წლის 31 დეკემბერს დასაქმებული იყო 122 თანამშრომელი. 2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით 120 თანამშრომელი

2. კორპორაციული მართვის მიმოხილვის ანგარიში

2021 წელში კომპანიამ სათავე ნაგებობებზე მოახდინა 4047610 ლიტრი წყლის წარმოება, საიდანაც მიწოდებულია მომხმარებლებზე 767712 ლიტრი წყალი, ხოლო 2022 წელს სათავე ნაგებობებზე წარმოებულია 3557129 ლიტრი წყალი საიდანაც მიწოდებულია მომხმარებლებზე 801674 ლიტრი წყალი, მიუხედავად იმისა რომ 2022 წელს 2021 წელთან მიმართებაში შემცირებულია წყლის წარმოება 490481 ლიტრით, მიწოდება კი გაზრდილია 105867.44 ლიტრით. მოპოვების შემცირების მიუხედავად წყლის მიწოდების ზრდა გამოწვეულია დანაკარგების შემცირებით, არსებული მომხმარებლების გამრიცხველიანებითა და ახალი აბონენტების რეგისტრაცია-გამრიცხველიანებით.

2022 წელს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებზე რეალიზებულია - 801674 ლიტრი წყალი, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 105867 ლიტრით მეტია. სახეზეა რეალიზაციის

მოცულობის ზრდა, რაც ძირითადად გამოწვეულია ქალაქის ურბანული განვითარების ზრდით და ტურისტული ნაკადის ზრდით.

ასევე დადებითი დინამიკაა წყალარინების მომსახურების ნაწილში 2022 წელს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებზე არინების მომსახურებამ შეადგინა 692825 კბ.მ. რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 92220კბ.მ.-ით მეტია. სახეზეა რეალიზაციის მოცულობის ზრდა, რაც როგორც წყლის მიწოდების ნაწილში ძირითადად გამოწვეულია ქალაქის ურბანული განვითარების ზრდით და ტურისტული ნაკადის ზრდით.

2022 წელს მთლიანმა შემოსავლებმა შეადგინა 905122 ლარი, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 214109 ლარით გაიზარდა. შემოსავლის ზრდა გამოწვეულია რეალიზებული წყლისა და წყალარინების მომსახურების გაზრდით.

საწარმომ 2022 საანგარიშო წელი დაასრულა ფინანსური ზარალით 2069950 ლარით, 2021 წელთან მიმართებაში ზარალი გაზრდილია 72009 ლარით, თუმცა ამავე პერიოდში თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება გაზრდილია 214081 ლარით. საზოგადოების ხარჯებიდან წყალმომარაგებას და არნებაზე 1813302 ლარი კომპენსირებულია საზოგადოების დამფუძნებლის „ქობულეთის მუნიციპალიტეტი“-ს მიერ, რომელიც ყოველწლიურად ახდენს საზოგადოების ზარალის კომპენსირებას, ზარალის კომპენსაციამ 2021 წელს შეადგინა 1431886 ლარი.

ქობულეთის წყალის ფინანსური განვითარების შესაფასებლად საოპერაციო შედეგი გადამწყვეტია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების დინამიკით საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები ორივე ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა საოპერაციო ხარჯების ზრდა უფრო დიდია, ვიდრე საოპერაციო შემოსავლი იმავე პერიოდში. ამის ფონზე გაიზარდა ფინანსური ზარალი, რომელიც იწვევს არადამაკმაყოფილებელ შედეგს და საჭიროა ამ ტენდენციის წინააღმდეგ ზომების მიღება.

აქვე უნდა აღინიშნოს, ქ. ქობულეთში წყლის, მიწოდების და არინების მომსახურება არასტაბილურია, სეზონურია.

მომავალი პერიოდის რისკები და პესპექტივები

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. 2022 წლის მოხდა ცვლილება საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებში, კერძოდ საზოგადოების დირექტორად დაინიშნა სულხან გორჯელაძე რომელსაც გააჩნია საამისო განათლება და პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნული დარგის საწარმოს საქმიანობაში. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია აქტიურად მუშაობს ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას, თუკი მენეჯმენტი არ გააკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს საწარმოს სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

საწარმოს მენეჯმენტის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია დებიტორული დავალიანებები, რომლებიც ამოღების კუთხით ტარდება მთელი რიგი ღონისძიებებისა, რათა სხვადასხვა მექანიზმებით (სამართლებრივი, ორმხრივი შეთანხმებები, დაფარვის მოქნილი გრაფიკების შეთავაზება და ა.შ) მაქსიმალური შედეგი იქნას მიღწეული და უზრუნველყოფილ იქნას დავალიანების თანხების ამოღება.

დანაკარგების რისკი

დანაკარგების კონტროლის ნაწილში მნიშვნელოვანი რეგულაცია გამოიცა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის მიერ 2021 წლის 9 დეკემბერს # 56 დადგენილება, „სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემებში ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“,

საზოგადოებაშია აღირიცხება დანაკარგების არსებითი თანდათანობით წავიდა შემცირების მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი მაგისტრალური გადამცემი წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ასევე დიდ გავლენას მოახდენს დანაკარგების შემცირებაზე. დანაკარგებზე ზემოქმედებს ასევე არსებული მომხმარებლების გამრიცხველიანებისა რომელიც ხელს შეუწყობს წყლის დაზოგვით მოხმარებას. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს წყლის რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

სხვა პირობებში კომპანიის მენეჯმენტის წინაშე დადგება ისეთი საკითხების მოწესრიგება, როგორიცაა ტარიფის მისადაგება, პერსონალის განვითარების გეგმა და ქსელის უზრუნველყოფის მართვა, რომელთა ოპტიმალურმა გადაწყვეტამ უნდა უზრუნველყოს სამომავლოდ საწარმოს მომგებიანი საქმიანობის წარმართვა.

საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მნიშვნელობა წინა პლანზე კომპანიისთვის ბოლო პერიოდში წამოიწია. საოპერაციო რისკები თავის თავში აერთიანებს, როგორც ტექნიკურ რისკებს (პროგრამულ და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ), ისე ფორს-მაჟორულ სიტუაციებს. კომპანიაში დანერგილია პროგრამული და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკების მართვის ღონისძიებები.

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

3. არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა

კომპანიას სტრუქტურულად შემდეგი განაწილება აქვს, მთავარ რგოლს წარმოადგენს დირექტორი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიან დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში, დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში, ბუღალტერია, ზედამხედველობის სამსახური.

მეორე რგოლს სწორედ მენეჯერთა გუნდი ქმნის, რომლებიც საკუთარი ნაწილის გამართულად, ეფექტურად და პროდუქტიულად მუშაობაზე არიან პასუხისმგებელნი.

ხოლო მესამე რგოლი ის პირები და თანამშრომლები არიან, რომლებიც მენეჯერთა პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევიან, მესამე რგოლი კომპანიაში წარმოადგენს კომპანიის თანამშრომელთა თითქმის 70%-ს. ამ რგოლში შედიან ანგარიშსწორების ოფიცრები, მონაცემთა ბაზის ოპერატორები, საქმის მწარმოებლები, იურისტი, ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტორები, უსაფრთხოების სპეციალისტები, ლაბორატორიის თანამშრომლები, მორიგე ოპერატორები, მქლორავი ოპერატორები, რეზერვუარის ოპერატორები, მეველე, სატუმბო სადგურის ოპერატორები, საკანალზიაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობის მორიგე ოპერატორები, ინჟინერი, ელექტრიკოს/ენერგეტიკი, ექსკავატორის მძღოლი, სპეციალისტი (მძღოლი), ტექნიკოსი (მძღოლი), სანიაღვრე სატუმბო (მძღოლი), ამნე, სპეციალისტი, დარაჯი/მეველე, სანიაღვრეს დამხმარე სპეციალისტი (მუშა), დამლაგებელი.

კომპანიას დაგეგმილი არ აქვს ამ ეტაპზე განახორციელოს სხვა საწარმოს შემენა ან საკუთარის გასხვისება.

პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება და აგრეთვე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება შპს „ქობულეთის წყლის“ ადმინისტრაციის უფროსის მიერ, კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილებასთან მჭიდრო კოორდინაციის და შეთანხმების შედეგად. კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილების მიზანს წარმოადგენს: ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას, შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი, მოიზიდოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შესაბამისად შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შეძლოს ის, რომ კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები იყოს ურთიერთთანხვედრაში. განყოფილება აქტიურად მუშაობს როგორც სტაფის შენარჩუნებაზე ასევე, ახალი თანამშრომლების მოძიებასა და მათი კომპანიაში დროულ ინტეგრირებაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობს დასახული მიზნების დროულად განხორციელებას და კომპანიის განვითარების ტემპის შენარჩუნებას. კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელიც შიდა პოლიტიკებისა და მიმართულებების მიხედვით შესაბამისი პროცედურები და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება ყველა აუცილებელი წესის დაცვით. კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას. შესაბამისად,

შრომის უსაფრთხოების საკითხები

კომპანიას ჰყავს შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების განყოფილების უფროსი სერთიფიცირებული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნებული კანონით, შრომის უსაფრთხოების შესახებ; ასევე საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა დაკავშირებული რეგლამენტებით. 2021 წ მოხდა შრომის უსაფრთხოების დებულების შედგენა და დამტკიცება სადაც დეტალურადაა გაწერილი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. განახლდა სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად გაიწერა საწარმოებში განთავსებული დანადგარების უსაფრთხოდ და სუფთად გამოყენების წესები. სახელმძღვანელოსთან გაცნობა სავალდებულოა ყველა ახალი თანამშრომლისათვის (პოზიციის შესაბამისად). მოხდა საწარმოების თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგების ორგანიზება, რომელთა შინაარსი მოიცავდა: ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს, პირველადი სამედიცინო დახმარების საბაზისო საკითხებს, ელექტრო უსაფრთხოების საბაზისო საკითხებს, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მოქმედების ინსტრუქციას, საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამოქმედო გეგმას.

რისკები და დაზღვევა

კომპანია ზრუნავს საკუთარ ქონებაზე და სასაქონლო მარაგებზე. ამიტომ იგი თანამშრომლობს სადაზღვევო კომპანიასთან - ალდაგი, რისი მეშვეობითაც მაქსიმალურად ამცირებს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან მიღებულ შესაძლო ზიანს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2024 წლის 25 დეკემბერს

დირექტორი: სულხან გორჯელაძე

ხელმოწერა: _____

რისკები და დაზღვევა

კომპანია ზრუნავს საკუთარ ქონებაზე და სასაქონლო მარაგებზე. ამიტომ იგი თანამშრომლობს სადაზღვევო კომპანიასთან - ალდაგი, რისი მეშვეობითაც მაქსიმალურად ამცირებს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან მიღებულ შესაძლო ზიანს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2024 წლის 25 დეკემბერს

დირექტორი: სულხან გორჯელაძე

ხელმოწერა: _____

